



დოკუმენტის დამტკიცების თარიღი და ბრძანების  
ნომერი: 29.12.2018 წ. ბრძანება №131

სააუდიტორო მუშაობის შეფასების პროცედურები



დოკუმენტის შინაარსი

- 1. ძირითადი მიზნები..... 3
- 2. სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პრინციპები..... 3
- 3. სააუდიტორიო მუშაობის შეფასების მიზანი ..... 3
- 4. სააუდიტორიო მუშაობაზე დასწრების პროცედურა..... 3
- 5. სააუდიტორიო მუშაობაზე დასწრების შედეგების გამოყენების პროცედურა..... 4



### 1. ძირითადი მიზნები

1. ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე ორგანიზება. სტუდენტების მრავალფეროვნება და სწავლის შედეგებზე ფოკუსირება მოითხოვს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლასა და სწავლებას. ამდენად, სააუდიტორიო მუშაობის შეფასება არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი ფაკულტეტის, პროგრამის ხელმძღვანელის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის, ჰქონდეთ ინფორმაცია უნივერსიტეტში სწავლა-სწავლების ხარისხის შესახებ.

### 2. სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პრინციპები

ხარისხის შეფასების სისტემა ორიენტირებულია თანამედროვე სტანდარტებზე, რაც ითვალისწინებს მაღალ პროფესიონალიზმს, ობიექტურობას, შეფასების გამჭვირვალობას და მიუკერძოებლობას. აღნიშნულზე დაყრდნობით უნივერსიტეტი ახორციელებს სწავლა-სწავლების პროცესის შეფასებას.

### 3. სააუდიტორიო მუშაობის შეფასების მიზანი

სააუდიტორიო მუშაობის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების პროცესში ჩართული პირების განვითარების ხელშეწყობა, საჭიროებების იდენტიფიცირება, კოლეგებში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის დანერგვა.

### 4. სააუდიტორიო მუშაობაზე დასწრების პროცედურა

1. სწავლა-სწავლების ხარისხის კონტროლს ახორციელებს ფაკულტეტზე შექმნილი კომისია. კომისია წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებით ახორციელებს სააუდიტორიო მუშაობის შეფასებას.

2. კომისიის წევრების შემადგენლობაში შედის ხარისხის დეპარტამენტის წარმომადგენელი, დარგის ან მომიჯნავე დარგის სპეციალისტი ან/და ფაკულტეტის დეკანი ან/და პროგრამის ხელმძღვანელი.

3. სააუდიტორიო მუშაობაზე დასწრება ვრცელდება იმ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე, თუ:

- ა) აკადემიურ/მოწვეული პერსონალი პირველად ახორციელებს უნივერსიტეტში სწავლებას;
- ბ) სტუდენტების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე გამოიკვეთა დაკვირვების საჭიროება;
- გ) სწავლის პროცესში არსებული ხარვეზების შესახებ სტუდენტის/სტუდენტთა ჯგუფმა მიმართა ადმინისტრაციას;
- დ) ინიცირება განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის, პრორექტორის სასწავლო და სამეცნიერო დარგში, ფაკულტეტის წარმომადგენლის ან / და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ;
- ე) სააუდიტორიო მუშაობაზე წინა დაკვირვების შედეგად გამოვლინდა სისუსტეები და გასაუმჯობესებელი ასპექტები დაკვირვებიდან 1 წლის ფარგლებში.
- 4. სააუდიტორიო მუშაობაზე დასწრების პროცესის შესაფასებლად გამოიყენება სააუდიტორიო მუშაობის შეფასების ფორმა (დანართი 1);
- 5. სააუდიტორიო დასწრების შედეგად კომისია წერს საბოლოო დასკვნას შესაბამისი რეკომენდაციით;

## 5. სააუდიტორიო მუშაობაზე დასწრების შედეგების გამოყენების პროცედურა

- 1. სააუდიტორიო მეცადინეობაზე დასწრების დროს ფასდება შეფასების კრიტერიუმების და კომპონენტების შესაბამისობა სილაბუსთან, სასწავლო რესურსების გამოყენება, გამოყენებული სასწავლო მეთოდების სილაბუსთან შესაბამისობა და სხვა.
- 2. დასწრების შედეგებს კომისია გადასცემს პრორექტორს სასწავლო-სამეცნიერო დარგში და ფაკულტეტის დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელს.
- 3. დასწრების შედეგები კონფიდენციალურია და ინდივიდუალურად ეცნობება აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს, რომელთანაც განხორციელდა დასწრება.
- 4. პროგრამის ხელმძღვანელი აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ერთად, რომელიც შეფასდა სააუდიტორიო მეცადინეობაზე დასწრების პროცედურით, განიხილავენ დასკვნის ანგარიშსა და რეკომენდაციებს, აკეთებენ მათ ანალიზს, გამოყოფენ ძლიერ მხარეებს და ახდენენ სისუსტეების იდენტიფიცირებას, სახავენ გასაუმჯობესებელ ღონისძიებებს.
- 5. გასაუმჯობესებელი ღონისძიებები შეიძლება ითვალისწინებდეს კოლეგების გამოცდილების გაზიარებას, ტრენინგებს სწავლა-სწავლების მეთოდებში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და სხვ. პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს და სხვ;



6. შემუშავებული გასაუმჯობესებელი ღონისძიებების შესახებ წინადადებები მიეწოდება ფაკულტეტის დეკანს, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას წარუდგენს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს შემდგომი რეაგირებისთვის.
7. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ფაკულტეტის დეკანი წარუდგენს ანგარიშს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს დანართი 2-ის შესაბამისად.

